შენიშვნები - პასუხები თელავი-გურჯაანის(ჩუმლაყი) შემოვლითი გზის მონაკვეთის (30 კმ) საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშთან დაკავშირებით

№	შენიშვნა	პასუხი
1	გზშ-ს ანგარიშში კონკრეტული და მიზანმიმართული კვლევის შედეგების საფუძველზე უნდა აისახოს შესაბამისი ინფორმაცია ქვემოთ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. გზშ ანგარიში
2	მიუხედავად გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი მრავალმხრივი გეოლოგიური რისკ-ფაქტორების არსებობისა, რომლებიც გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესებთან იქნება დაკავშირებული, საპროექტო გზის მონაკვეთზე ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები (საინჟინრო- გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური) არის არასაკმარისი და დაუკონკრეტებელი ინფორმაციის შემცველი. თვით ეს ინფორმაცია გზშ-ს ანგარიშში წრმოდგენილია გაუგებარი გეოლოგიური ტერმინოლოგიით (როგორც ჩანს ნათარგმნია უცხო ენიდან და არ არის კორექტირებული დარგის სპეციალისტის მიერ), რაც ძალზედ ართულებს საკითხის შეფასებას; ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ს ანგარიშში;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. მე-4 თავი პროექტის აღწერა, 6,2 ქვე-ქვე თავი და დანართი 6
3	გზშ-ს ანგარიშში მითითებულია, რომ საპროექტო გზის რამდენიმე მონაკვეთზე ფიქსირდება „მეწყრული და სხვა გრავიტაციული პროცესები, აგრეთვე წყლისმიერი ეროზიით გამოწვეული დაზიანებები“. ანგარიშში დაკონკრეტებული უნდა იყოს გზის აღნიშნული მონაკვეთები და დასახული უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	საბოლოო წარმოდგენილი ანგარიში ინფორმაცია დაკორექტირდა, აღნიშნულ საპროექტო გზის მონაკვეთზე მეწყრული უბნები არ ფიქსირდება
4	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ფარგლებში, გაბურღული 4 ჭაბურღილის ადგილმდებარეობა და კოორდინატები;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 6.2 ქვეთავი და დანართი 6
5	საპროექტო გზა გამიჯნული უნდა იყოს პიკეტების მიხედვით, შესაბამისად გამოყოფილი უნდა იყოს და განხილული გზის რისკების შემცველი მონაკვეთები და მოცემული უნდა იყოს საპროექტო გზის მონაკვეთის კოორდინატები;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 4 თავი
6	გზშ-ს ანგარიშის ტექსტში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 6.2 ქვეთავი და დანართი 6
7	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახიდე გადასასვლელებთან მდინარის მაქსიმალურ დონეებზე, ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მდინარის გარეცხვის ზოგად სიღრმეებზე;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 4 თავი და 6.3 ქვე-თავი

8	წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამოდერნიზაციო გზის სენსიტურ უბნებზე დატბორვის არეალებსა და ნაპირდაცვის ღონისძიებებზე;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 4 თავი და 6.3 ქვე-თავი
9	გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე. მათზე ზემოქმედების (ჭრის) შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით.	გზშ-ს პროექტის განხილვის თავში მოცემულია ტექნიკურ-ეკონიმიკური ეტაპისთვის არსებული ინფორმაცია. დეტალური დიზაინი მომზადდება ტენდერის შემდგომ გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო გზა გადის ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხე-მცენარეების (მსხმოიარე მცენარეები) გამოსყიდვა მოხდება განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც მომზადების ეტაპზეა
10	გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებში და საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილ სახეობებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგები.	შენიშვნა გათვალისწინებულია, მაგრამ გზშ-ს მომზადების პროცესში იქიდან გამომდინარე რომ საპროექტო გზა გადის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გარეული ცხოველების კვალი არ იქნა აღმოჩენილი მით უმეტეს საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების
11	გზშ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ "თუ მდინარის ნაკადის კურსის დროებითი შეცვლა გახდება სავალდებულო, მილსადენები, არხები და თევზსავალი ისე მოეწყობა, რომ უზრუნველოფილი იქნას ალტერნატიული წყლის დინება და თევზების მოძრაობა." ვინაიდან წარმოდგენილ ანგარიშში განიხილება საავტომობილო გზის მშენებლობა და არა წყალაღებასთან დაკავშირებული პროექტი, საჭიროდ მიგვაჩნია, გზშ-ს ანგარიში შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან.	აღნიშნული დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენისა და დეტალური დიზაინის მომზადების/დამტკიცების შემდეგ.
12	საპროექტო ტერიტორია ემთხვევა "ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ "ზურმუხტის ქსელის" შეთავაზებულ საიტს (გომბორი - GE0000027). აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს შეთავაზებულ საიტზე, იქ არსებულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე ზეგავლენის შეფასება ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება, მათზე შესაძლო ზემოქმედება, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო	საპროექტო ტერიტორიის დასაწყისი დაახლოებით 10-15მ-ით არის დაშორებული კანდიდატ ტერიტორიასთან. საჭიროების შემთხვევაში გატარდება და მომზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია და შემარბილებელი და შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად, მშენებელი კომპანიის

	ღონისძიებები. შეფასებაში ასახული უნდა იქნას, საქმიანობის სახეების მიხედვით მოსალოდნელი ზეგავლენა სათანადო დასაბუთებებით, ასევე შემარბილებელი და ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებები; წარმოდგენილ უნდა იქნას, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო გეგმა.	გამოვლენისა და დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ
13	ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე (მათ შორის ბერნის კონვენციით დაცულ სახობებზე და ჰაბიტატებზე) დაკვირვების საკითხი.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. მე-9 თავი
14	საპროექტო ტერიტორია, ნაწილობრივ მოიცავს ჭერმისხევის ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურს, სადაც მიწის ნაკვეთის ნაწილის საბადოსთან თანაკვეთის ფართობია - 1,71 ჰა და მარაგი შეადგენს C1 კატეგორიით - 5130 მ3-ს. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად 1მ3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის მოსაკრებელი შეადგენს 0,2 ლარს.	შენიშვნა გათვალისწინებულია და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადებისა და დამტკიცების შემდგომ ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
15	საპროექტო ტერიტორია ასევე მოიცავს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, 2015 წელს, ოცდახუთი წლის ვადით შპს“ნეოგაზი“-ზე გაცემულ მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების #1003111 ლიცენზიას. ,,წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. შესაბამისად შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროში;	შენიშვნა გათვალისწინებულია და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგო მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
16	ანგარიშში, სენსიტიური ეკოლოგიური რეცეპტორები და პოტენციური ზემოქმედების სახეების თავში, მითითებულია „კარიერებისა და ნიადაგების საბადოს ოპერირება“. გაურკვეველია რას ნიშნავს ან რა იგულისხმება „ნიადაგების საბადოში“;	შენიშვნა გათვალისწინებულია მე-4 თავში

17	გზშ-ს ანგარიშის (თავი 7.5.1) მიხედვით, მოსახსნელი ჰუმუსოვანი ფენის მოცულობა არ იქნება 400m^3 -ზე მეტი (ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე 20სმ). აღნიშნული მონაცემებით ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება 2000m^2 მიწის ფართობზე, რაც პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე (ალტერნატივა TS, ტრასის სიგრძე 36003 მ) არა რეალურია. საერთოდ სხვა მონაცემებია 8.3.1 ცხრილში. აღნიშნული მოითხოვს დაზუსტებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია 6.2 ქვე თავსა და დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში
18	გზშ-ს ანგარიშში პროექტის მუდმივი და დროებითი კომპონენტებით დაკავებული ტერიტორიები დატანილ უნდა იქნას შესაბამისი მასშტაბის რუკაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიშში. ასევე უნდა იყოს მონაცემები ამ ტერიტორიების საკუთრების ფორმის, ფართობის, კატეგორიის, ნიადაგური დახასიათების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;	შენიშვნა გათვალისწინებულია დანართი 6 საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თავში
19	ანგარიშის მიხედვით, პროექტის განხორციელების არეალში მოხვედრილი ტერიტორიების გარკვეული ნაწილი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, შესაბამისად ანგარიშში ასახული უნდა იყოს "ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული საკითხები;	შენიშვნა გათვალისწინებულია და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგო მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
20	იმ შემთხვევაში, თუ ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში, საქმიანობის სუბიექტმა უნდა შეიმუშაოს და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები.	შენიშვნა გათვალისწინებულია და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგო მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
21	გზშ-ს ანგარიშში 7.1.1. ქვეთავში (ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე) ასახული უნდა იყოს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობრივი და გაბნევის გაანგარიშებები მშენებლობის ეტაპზე, რის საფუძველზეც იქნა წარმოდგენილი ამავე ქვეთავში მოცემულ ცხრილში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციების წილობრივი მონაცემები.	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 5,4 ქვე-თავი
22	ვინაიდან გზშ-ის მიხედვით, გზის მშენებლობისას შესაძლებელია იფუნქციონიროს სხვადასხვა სახის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულმა წყაროებმა (სამსხვრევ-დამხარისხებელმა დანადგარმა, ბეტონშმრევმა და სხვამ, რომელთა	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. დანართი 5

	შერჩევის და განთავსების შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით მშენებარე კონტრაქტორის მიერ არ არის მიღებული), საჭიროა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისთვის წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშს, რომელშიც განხილული უნდა იყოს ზემოაღნიშნული საკითხები, თან ახლდეს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია;	
23	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ბანაკის გენ-გეგმა გაფრქვევის სტაციონალური წყაროების მითითებით, ბანაკის განთავსების კოორდინატები, ბანაკიდან გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების გაანგარიშება; ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების, ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის სქემა და ბანაკის წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების სქემები;	შენიშვნა გათვალისწინებულია და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
24	დაზუსტებელია რამდენ წლიან პერიოდზეა შედგენილი ნარჩენების მართვის გეგმა. ამასთან კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს;	შენიშვნა გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ზოგადი ნარჩენების მართვის გეგმა და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
25	ანგარიშზე თანდართულ ნარჩენების მართვის გეგმაში ნარჩენების კოდი და დასახელება წარმოდგენილი უნდა იყოს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს #426 დადგენილებით დამტკიცებული II დანართის შესაბამისად;	შენიშვნა გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ზოგადი ნარჩენების მართვის გეგმა და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
26	ნარჩენების სახიფათოობის მახასიათებლები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსის III დანართის მიხედვით;	შენიშვნა გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ზოგადი ნარჩენების მართვის გეგმა და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს

		დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
27	ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული აღდგენა/განთავსების ოპერაციები მოცემული უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართებით განსაზღვრული კოდების შესაბამისად;	შენიშვნა გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ზოგადი ნარჩენების მართვის გეგმა და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
28	ანგარიშში მოცემული უნდა იყოს იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით;	შენიშვნა გათვალისწინებულია გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ზოგადი ნარჩენების მართვის გეგმა და ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მშენებელი კომპანიის მიერ დეტალური დიზაინის მომზადების შემდგომ მოხდება აღნიშნულ საკითხის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
29	გზშ-ს ანგარიშში რუკები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართული წარწერებით;	შენიშვნა გათვალისწინებულია
30	ხმაურის დონეების და სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების (2.9, გვ. 25, 5.3.2, გვ. 41, 7.2, გვ. 76) განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს „საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის № 398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ”;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 7.4.2 ქვეთავში
31	გზშ-ს ანგარიშში (თავი 8.5. სამუშაოს ტიპებში) მითითებულია გვირაბების გაყვანა. გაურკვეველია რა გვირაბები იგულისხმება;	გზშ-ს ანგარიშის საბოლოო დოკუმენტი დაკორექტირდა შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე გვირაბები მშენებლობა დაგეგმილი არ არის
32	ანგარიშის ტექსტურ ნაწილში ბევრი ტექნიკური ხარვეზია; 5. 1.1 ცხრილში არ არის მითითებული საზომი ერთეულები;	შენიშვნა გათვალისწინებულია
33	საპროექტო გზის ალტერნატივების განხილვის თავებში არასწორად არის მითითებული საზომი ერთეულები;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. მე-3 თავი

34	გზშ-ს აგარიშში (ცხრ. 2-1, გვ. 23) აზოტის დიოქსიდის ზდკ-ს ერთჯერადი მაქსიმალური მნიშვნელობა უნდა იყოს არა 0,085 მგ/მ3, არამედ 0,2 მგ/მ3;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 5,4 თავი და დანართი 5
	ცხრილებში (გვ. 24, გვ.40, ...) უნდა იყოს არა „μmგ/მ3“, არამედ „მკგ/მ3“. უნდა იყოს არა „ლექ“, არამედ „Leq” (5.3.2, გვ. 41), დასაზუსტებელია (4, გვ. 31) „გურჯაანი - თელავის მონაკვეთი გადის სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების სოფლებზე;	შენიშვნა გათვალისწინებულია
35	გზშ-ს ანგარიშში მოცემული გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში უნდა მიეთითოს, რომ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს საქმიანობის განმახორციელებელი და არა მშენებელი კონტრაქტორი;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. მე-8 თავი
36	გვ 58-ზე გასასწორებელია ტექნიკური უზუსტობა R არის არა „რაციონალური პარამეტრი“ არამედ „რეგიონალური პარამეტრი“;	შენიშვნა გათვალისწინებულია
37	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის სავარაუდო განთავსების, კომპანია „ბლექ სი გრუპი“-ს არსებული სამშენებლო ბანაკისთვის ჩატარებული ემისიების გაანგარიშების შედეგები (7.1, გვ. 75). აღნიშნული მოითხოვს დაზუსტებას;	აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმებულია 2017 წლის 23 მარტს №2683 წერილით. ხოლო დეტალური ინფორმაცია შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ სამშენებლო ბანაკების შესახებ წარმოდგენილია 2016 წლის 25 თებერვლის №10 ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების მიხედვით საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 12 ივნისს №2-13/6080 წერილით
38	გ.ზ.შ.-ს ანგარიშის ტექსტში აღინიშნება ტერმინოლოგიური უზუსტებობები, მაგალითად: ,,ალაზნის ველის ძირი შევსებულია მეოთხედ ალუვიალურ-პროალუვიალურ წიაღისეულით”; „ეს ტალღისებურობა განპირობებულია მდინარეების არსებული ხშირი ნაგვის-ამკრეფი კონუსი“; „ზოგიერთ ადგილებში დელუვიალურ-პროლუვიალურ დეპოზიტების ქვეშ, ხანდახან ალაზნის ალუვიალური დეპოზიტები განიცდიან ზემოქმედებას“.(გვ.47,48) და სხვა. „მეოთხედ“-ის ნაცვლად უნდა იყოს - მეოთხეული; „პროალუვიალური“ -პროლუვიური; „ალუვიალური“ - ალუვიური. „წიაღისეულის“ და „დეპოზიტების“ ნაცვლად უნდა იყოს ნალექები. გაუგებარია ტექსტში ნახსენები “ნაგვის-ამკრეფი კონუსი“ და რა სახის „ზემოქმედებას“ განიცდიან ალუვიური ნალექები;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 6,2 ქვე-თავი და დანართი 6
39	ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში საკითხები უნდა იყოს განხილული ქვეთავების მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობით: - რელიეფი (გეომორფოლოგია); - გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკური და სეისმური პირობები; - ჰიდროგეოლოგია;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. დანართი 6

	- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები; - საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების დასახვით	